

ავტობიოგრაფია

მე, კობა ახელის ძე კობახიძე, დავიბადე 1960 წლის 19 აგვისტოს ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდაში. 1967-1977 წლებში ვსწავლობდი ქ. თბილისის 117-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დავამთავრე ფრიადებზე. 1977-1982 წლებში ვსწავლობდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დავამთავრე სამართლისმცოდნეობის სპეციალობით. სტუდენტობის პერიოდში მიმიღეს კომინისტური პარტიის წევრად, ვიყავი მე-3 შრომითი სემესტრის სტუდენტური რაზმის მეთაური, უნივერსიტეტის 23 რაზმს შორის დავიკავე 1-ლი ადგილი. სწავლის დამთავრებისთანავე გამანაწილეს პროკურატურის სისტემაში. სტუდენტობის პერიოდში პარალელურად ვსწავლობდი ამავე უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე ფერწერის განხრით და ორი ნამუშევარი გამოქვეყნდა "მერანის" გამომცემლობაში.

1982-1983 წლებში ვიყავი ამბროლაურის პროკურატურის სტაჟიორი, 1983-1986 წლებში - ზესტაფონის პროკურატურის გამომძიებელი, 1986-88 წლებში - ამბროლაურის პროკურატურის გამომძიებელი, 1988-1993 წლებში - რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი (ამ პერიოდში დავტოვე კომუნისტური პარტია 1989 წლის 9 აპრილის მოვლენათა გამო), 1993-1997 წლებში - ამბროლაურის რაიონის პროკურორი, 1997-2003 წლებში - ნაძალადევის და გლდანი ნაძალადევის რაიონული პროკურორის თანაშემწე.

პროკურატურის სისტემაში მუშაობის პერიოდში დამთავრებული მაქვს გერმანული ენის ორწლიანი კურსი. ვიყავი სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროცესის კათედრებზე თემებით: "სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამომძიებლისთვის", "სისხლისსამართლებრივი დევნის სახეები". ორჯერ მაქვს ჩაბარებული საკანდიდატო მინიმუმის. ამავე პერიოდში ვიყავი მივიღებულ ფრაიბურგის უნივერსიტეტში და დავამუშავე თემა რეკეტის თაობაზე. ზემოაღნიშნულ თემებზე სხვადასხვა სამართლებრივ ჟურნალ-გაზეთში გამოქვეყნებული მაქვს 7 სამეცნიერო ნაშრომი.

2003 წელს პირადი განცხადებით წამოვედი პროკურატურიდან საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ დღემდე ვარ ადვოკატი საერთო სპეციალიზაციით, რადგან ჩაბარებული მაქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. ადვოკატობის პერიოდში გამართლებული მყავს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებში ბრალდებულები და მსჯავრდებულები. მოგებული მაქვს სამი კონსტიტუციური სარჩელი.

2010 წლიდან ვარ ა(ა)იპ "ევროკონვენციის მე-6 მუხლის" თავმჯდომარე და სტრასბურგში გაგზავნილი მაქვს მრავალი საქმე, რომელთაგან ორი ფაქტობრივად მოგებული საჩივარი (ჩხეიძე, მჭედლიძე) წინა ხელისუფლებამ უკან გამოახმობინა მსჯავრდებულებს ჩემგან მალულად მათ მიმართ სხვა საქმის გამოძიების მანიპულირებით.

2018 წლიდან დღემდე ვარ ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის წევრი.